ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7291693

ნომერი: AR11059801

თარიღი : 02.10.2024

გაცემის თარიღი : 19.11.2024

გაცნობის თარიღი : 09.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თელავის ქუჩა N 48; ქალაქი თბილისი , ქუჩა თელავი , N46 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თელავის , N 46;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ თავაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: Sps ,,arko"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405038739

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს “თელავივ დეველოპმენტ“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405713651

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს ,,თელავივ დეველოპმენტი" დირექტორი - არტურ ოსიპოვი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01027066175

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 7219097
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.09.2024

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს მოქ. გურამ თავაძის AR11059801 ელექტრონული განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 17 სექტემბრის №7219097 ბრძანებაში, კერძოდ "ნებართვა ძალაშია 2026 წლის 17 სექტემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2024 წლის 19 ნოემბრიდან 2027 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით"
3. მშენებლობის დარჩენილი ეტაპები განისაზღვროს შემდეგნაირად:
1) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის,ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;
2) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
3) შენობის მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობის,საძირკვლების მოწყობის სამუშაოები; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე;
4) ძირითადი კარკასის მოწყობა +12.60 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კონსტრუაციების გამოკლებით);
5) შენობის სახურავის მოწყობა, შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;
6) შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი; შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება ტექნოლოგიური მოწყობილობების მომტაჟი;
7) ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა;
გაითვალისწინეთ: მშენებლობის ნებართვის მფლობელი (დამკვეთი) ვალდებულია “მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას - დაჯარიმებას.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141^5 მუხლის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2025 წლის 31 დეკემბრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის № 7219097 17/09/2024წ. ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.